№ 44. 1 მარტი, კვირა. 1866—1881 1 მარტი, კვირა. № 44.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრიკის ასოთი მოზგრძელით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილი ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირო იქნება მოითხოვოს შეიძლება გამოგზავნილ და შეამოკლებს დახაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**არწრუნის თეატრში**

**ორშაბათს, 2 მარტს**

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება კეთილი საქმის სასარგებლოდ

## დ ა ვ ა

ა ნ უ

**ტოჩკა და ზაპეტაია**

კომედია 5 მოქმედ. გ. ერისთავისა,

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

**დასაწყისი 8 საათზე.**

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 27 თებერვალს. „გოლოსს“ ოდესიდამ სწერენ, რომ მესაპოტამიაში აღმოჩენილა შავი ჭირი მსგავსი სამოგელის თვისების ჭირი არისო; 18 თებერვლამდინ ამ ჭირით მომკვდარა: ნედეჟდში 18 და ჯაფარში 30 კაცი. განკარგულება გამოვიდა, რომ ის ხომალდები, რომელნიც აზიის ნაპირებიდამ მოდის ოდესსაში, სხვა გემებს მოაშორონ.

კაშევაროვ-რუდნევის ქმრის ვექილმა ალექსანდროვმა შეიტანა სასამართლოში პროტესტი ბრალდებულებისადმი სასჯელის მოყენებისათვის; ბრალდებულებმაც ითხოვეს უკანონოთ საქმის გადაწყვეტისათვის.

პეტერბურღი, 27 თებერვალს. დღეს ჯუნაის არმიის მეიჯარადრებმა შეიტანეს ოლქის სასამართლოში ხაზინაზე სარჩელი; მარტო პოშლინის ფული 170,000 მან. წარადგინეს. 32 მილიონს სჩივიან, 1,240,000 მანეთის კვიტანცია არის წარდგენილი.

**პეტერბურღის ბირჟა, 27 თებერვალს.**

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 95 | 87 |
| მეორესი | 93 | 37 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 93 | 50 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 92 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | 62 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 83 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 223 | 50 |
| მეორე სესხის | 220 | „ |

| 1 მანეთი ღირს: | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 25 | 09 | პენსი |
| ჰამბურღი | 214 | 75 | ცენტი |
| პარიჟი | 265 | „ | სანტიმი |
| ვენა | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

**საყურადღებო.**

ტფილისი, 28 თებერვალს.

ამ ორი წლის წინათ, გორის მაზრის სოფ. ალაიანის მცხოვრებმა გლეხმა ზაქარია არგანაშვილმა ჩამოიყვანა ქალაქში თავის რვა-ცხრა წლის შვილი იმ განზრახვით, რომ ვისმე ოსტატს მივაბარებ, ხელობას ისწავლის და იქნება ბედმა უპრიანოს და კაცად გამოვიდეს, ლუკმა-პური იშოვოსო.

ჩამოსვლისა-თანავე გლეხს მოკეთეები აღმოუჩნდნენ, რომელთაც ხან ერთ ოსტატთან მიბარება ურჩიეს, ხან მეორესთან; და ბოლოს მამამ აიყვანა და ერთს მხატვარს (მალიარს) ზიგო ნაზაროვს მიაბარა შვილი.

ოსტატმა, რასაკვირველია კანტრაკტი მოსთხოვა მამას. კანტრაქტიც ისე შეადგინეს, როგორც ჩვეულებრივ ამ გვარი კანტრაქტები იწერება ხოლმე ჩვენს ქალაქში ოსტატებსა და შაგირდებს, ანუ ამათ ჭირისუფლებს, შუა: ხუთი წლით მომიცია შენთვის, უჯამაგიროთ, ასწავლე ხელობა, ასვი, აჭამე, ჩააცვიო; ხუთის წლის შემდეგ ნება მაქვს ჩემი შვილი ვისთანაც მინდა დავაყენოვო, ვადაზე ადრე თუ გავიყვანო, ხუთი თუმანი ჯარიმა გადავიხადოვო. გულ-დამშვიდებული მამა სოფელში მიდის.

ერთის წლის შემდეგ მოდის და ჰხედავს, რომ შვილს როგორღაც ფერიც აღარა აქვს რიგიანი, გამხდარა კიდეც და როგორც ადრე იყო, იმ გონზედაც აღარ არის.

მეორე წელიწადს ოსტატი კვდება — და რჩება მარტო ქვრივი. შაგირდის მამა ჩამოდის სოფლიდამ თავის შვილის წასაყვანად და სხვა ოსტატთან დასაყენებლად ქვრივი არ აძლევს; ხუთი წლით იყო გარდაცვლილთან კანტრაქტით და ვადა უნდა შეასრულოსო!

საქმე იმაშია, რომ მიცვალებულის ოსტატის შემდეგ დარჩა მხოლოთ ერთი ქვრივი ძუძუ-მწოვარი ყმაწვილით არც ზავოდენია, არც ერთი, არც მეორე. შაგირდი შესჩივის მამას, რომ აქ აღარაფერ ხელობას აღარ მასწავლიანო, მხოლოთ ძუძუმწოვარ ყმაწვილს ვუვლი მთელი დღეო; არც მაჭმევენ რიგიანად და არც ტანთ-მაცმევენო.

მართლაც, თვითონ ამ სტრიქონების დამწერი თვისი თვალით დარწმუნდა, რომ საწყალ ყმაწვილს ადამიანის ფერი არა აქვს, საცოდავად გაყვითლებულია და გამხდარი. ბავშვი ამბობს, პურს რო არ მაჭმევდნენ სამყოფად, მიწას ვსჭამდიო და ისე გემრიელი ყოფილა მიწა, როგორც პურიო. ბავშს პერანგი არ აცვია, გარედამ რაღაც დაფლეთილი აცვია, სერთუკია, პალტოა, თუ ახალუხია კაცი ვერ გამოიცნობს.

«დროების» ფელეტონი, 1 მარტს.

**ცხელ-ცხელი ამბები.**

ვაუმარჯოს ლობიოს, ჯონჯოლსა და ღანძილას! ვინც მთელის წლის განმავლობაში ლობიოსავით იბერებოდა, ვისიც სინიდისი ჯონჯოლივით იჩეჩებოდა და ვის მოქმედებასაც ღანძილის სუნი უდიოდა, დღეს იმან ეს საჭმელები სულის გასაწმენდელ იარაღათ უნდა იხმაროს...

დიახ! მაგრამ ეს ხომ წვრილ-ფეხობის საკვებია და უფრო დიდებმა და შეძლებულებმა რაღა უნდა მიირთვან მერე? ხიზილალა და ზეთის ხილი!... ესენი არიან მათი პირის ჩამაგემრიელებელი!.... და ამაზედ არის ნათქვამი: „ფერი-ფერსა და მადლი ღმერთსაო“.

მართლათაც ეს ბატონები ისეთნაირათ არიან დაჩვეულნი შავ-საქმეებს, რომ, ხიზილალა და ზეთისხილიც კი აღარ ეგემრიელებოდათ პირში, თუ სხვა ფერი ჰქონოდათ და შავი არ ყოფილიყვნენ...

ეჰ, ასეა თუ ისეა, ცოდვის მოსახდელ იარაღათ ხომ გამოადგებათ და რა ფერიც უნდა იყოს სულ ერთია! ორმოცი დღის მარხვა ერთი კარგი გულ-ახსნილი აღსარება და გათავდა... ფუუ!.... გაქრენ ცოდვები და დაიცალა მოედანი მომავალი წლის ცოდვებისათვის.

ჰეი! სადა ხარ, „უჩინ-მაჩინის“ ქუდო, რომ შენის შემწეობით ყურს არ უგდებენ აღსარების მთქმელებს!... რამდენ რამეს არ გავიგებდით მაშინ!.. აბანოს ანდაზისა არ იყოს, შავი სული და თეთრი სული აბა იქ გამოჩნდებოდა!... რამდენზედ შეგვეცვლებოდა მაშინ აზრი!...

მართალია, ამ ვაჭბატონებზედ ბევრი რამ ვიცით, რაც შეგვიტყვია ისიც კმარა, მაგრამ მაშინ სულ-სხვა იქნებოდა. დიე, მათ აღსარებამდი ჩვენც მოვიცადოთ! ეგებ ცოტა რამ გამჟღავნდეს მათ საიდუმლოდამ.. ან მღვდელს წასცდეს, ან მღვდლის ცოლს, და ჩვენამდისაც მოაწიოს; ჩვენც მივუმატოთ იმას, რაც ისეც, უაღსარებოთაც, ვიცით და მაშინ კი ჩვენებურათ ცხლა-ცხლათ ჩავეკარაბაკოთ იმ მადლის შვილებს...

და ახლა კი გადავიდეთ სხვა საგნებზედ, მივათვალ-მოვათვალიეროთ, თუ რამე ყოფილა შესანიშნავი ჩვენში ამ ხანებში.

მართალია, არც მზე დაბნელებულა, არც მთვარე, არც კუდიანი ვარსკვლავი გამოჩენილა და არც დედა-მიწა ძრულა, მაგრამ ერთი რამ მოხდა: ჟურნალი „იმედი“ გამოხოხრიკდა. პორტოხს აქეთ ცოტა სუსტათ ბრძანდებიან ქართულზედ და რადგანაც არც ეს სიტყვა ეცოდინებათ, თუ რა არის, ამისათვის აქვე უნდა აუხსნათ ლექსი „გამოხოხრიკება“. იმერეთში ბავშვების უმანკო თავის-შექცევასა და თამაშობას საზოგადოთ „ბურჭლობა“ ჰქვიან. ეს ნამდვილი ქართული სიტყვა წარმოსდგა ჭალაში ბურთის გაგდებისაგან, ანუ ბურთი-ჭალობისაგან. და შემოკლებულათ კი „ბურჭლობას“ ეძახიან. ბავშვების „ბურჭლობაც“ ბევრ-ნაირია: კურდღლობია, ქორობია ანუ ძერაკუდობა და სხვ.

ერთს ამ გვართაგანს კი „ღორობიას“ ეძახიან, — და აი როგორ თამაშობენ ხოლმე:

ბავშვები შეიყრიან თავს, ამოთხრიან ერთ დიდ ორმოს, რომელსაც სალორეთ დასახვენ; ირგვლივ ამ დიდ ორმოსა, ამოთხრიან კიდევ იმდენ პატარ-პატარა ორმოებსაც, რამდენიც მოთამაშეა, ერთის გარდა. ყველას თვითო ჯოხი (ტაფელა) უჭირავს ხელში და იმ ჯოხების თავიც იმ პატარ-პატარა ორმოებში აქვსთ ჩაყოფილი. ერთი მოთამაშეთაგანი, რომელსაც ორმო არა აქვს, მეღორეა; ღორათ დანიშნენ პატარა ჯოხის ნამორს (რიკს); ის რიკი, ე. ი. ვითომ ღორი, მეღორემ უნდა ჯოხით შემოაგოროს და ჩააგდოს დიდ ორმოში, მაგრამ სხვები ირგვლივ შემოხვეულები შემოუკვრენ ხოლმე ჯოხს და უკანვე გაუბრუნებენ იმ რიკს. თუ იმ დროს მეღორემ მოასწრო და ვისმეს ცარიელ ორმოში ჩაუგდო ჯოხი, მეღორობა მაშინ იმ მოთამაშეზედ გადადის. იმ სათამაშო რიკს „ხოხორიკო“ ჰქვიან, რადგანაც ჯოხებით მიწაზედ „ახოხებენ“!.. მაშასადამე ეს ლექსი არის ორის სიტყვისგან შემდგარი: ხოხვა და რი-

სოფლელი ხამი კაცი ხელოსნების უპრავაში მიდის საჩივლელად; იქ, რასაკვირველია, ამის საქმეს რიგიანად აბა ვინ გამოიკვლევდა, უთხრეს, სამი თუმანი „ხალათის ფული“ (საოსტატო) მიეცი მიცვალებულის ქვრივს და შენი შვილი წაიყვანეო. უპატრონო მამა ხან აქეთ მივარდება, ხან ერთს შეევედრება, ხან მეორეს; ბოლოს ერთი სხვა მხატვარი ამოუჩნდება (დენიზეგოვი), ის მიიბარებს იმის შვილსა შაგირდათ და თვითონ კი შინ დაბრუნდება.

ერთიც ვნახოთ, მეორე დღეს სოფელში იმის შვილიც ამოვა.—რა ამბავია, შვილო? რად გამოქცეულხარ ოსტატისგანაო? ეკითხება მამა. აღმოჩნდება, რომ სახელოსნო უპრავას დენიზეგოვისათვის პირობა და ხელ-წერილი ჩამოურთმევია, რომ თუ ეს შაგირდი დაიჭირე, ხუთი თუმანი ჯარიმა გადაგხდესო. ამის შემდეგ ბავში, რასაკვირველია, გაუსტუმრებია.

საბრალო მამა სოფლის მუშაობას მოსცდება, ხელ-ახლად მოდის ქალაქში, მონახავს მოკეთეებს და ბოლოს რის ვაი-ვაგლახითა და დავიდარაბით, როგორც იქნება დაიხსნის თავის შვილსა და ისევ ზემოხსენებულ დენიზეგოვს მიაბარებს.

აი ამისთანა საქმეები ხდება ჩვენს ქალაქში. ეს საქმე გამოაშკარავდა; მაგრამ რამდენი ამაზე უარესები ხდება, რომელსაც კაცი ვერ ტყობილობს.

ჩვენს გაზეთში ადრეც ყოფილა ამგვარი შემთხვევები მოყვანილი, შემთხვევები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ქალაქის ოსტატები სწორეთ ბარბაროსულად, როგორც ყმებს და მონებს, ისე ეპყრობიან შაგირდებს. ხუთის წლის ვადით აიყვანენ, ამ ხნის განმავალობაში მოსამსახურეობას აწევინებენ, ჯანს აგდებინებენ, არც არაფერს ასწავლიან და ბოლოს ისტუმრებენ.

ვგონია, რომ ამგვარ უსამართლო მდგომარეობას და უპატრონობას ოსტატების შაგირდებისას ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული ვისგანაც რიგია.

## ახალი ამბები.

ნემეცურ გაზეთს „ჰეროლდში“ დაბეჭდილია შემდეგი, ჩვენთვის საინტერესო ამბავი:

„ჩვენ გავიგონეთ, რომ დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის პეტერბურღში მყოფობის დროს უნდა გადაწყდეს ახალი წესდება კავკასიის გამგეობისა. ამ ახალის წესით კავკასია უფრო დაახლოებულად იქმნეს რუსეთთან დაკავშირებული. მთავარმმართებლობა უნდა გაუქმდეს; მაგივრად კავკასია ორ სალუბერნატოროდ გაიყოფება: ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციის ცენტრად ვლადიკავკაზი იქნება დანიშნული და სამხრეთ კავკასიისა—თფილისი.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ერთის მოქალაქისათვის ანჩხატის უბანში ამ დღეებში ქურდებს მოუპარავსთ ექვსი ნაჭერი სპილენძეული, ქვაბები, რომლებშიაც ფლავი იხარშებოდაო, ქათამი, ნალები და სხვ. პატრონს ორი საათის შემდეგ უპოვნია მუხრანიანთხიდთან, ერთს დუქანში, ქურდები; პოლიციის სალდათები დაეყენებიათ ყარაულად; მაგრამ ამ სალდათებს სამი ქურდი ხელიდამ წასვლიათ. ერთიც ხიდიდამ გაქცევიათ.

* * *

ჩვეულებისა-მებრ დღეს, 1 მარტს, გამოვიდა მესამე, მარტის წიგნი „ივერიისა“ და ხელის-მომწერლებს დაურიგდა.

მოგვყავს აქ შინაარსი ამ წიგნისა: **დიდ-ხევაში** — რომანი ეკ. გაბაშვილისა. **ბრძოლა,—ნუ ჰკარგავ იმედს!** ლექსები იოს. ბაქრაძისა. **გვეფილდის მოძღვარი**—რომანი ოლივერ გოლდსმიტისა (შემდეგი). **აჩრდილი**—პოემა ილია ჭავჭავაძისა (დასასრული). **ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ**—ნ—ისა. **შინაური მიმოხილვა. ორიოდე სიტყვა** გ. თ—ის „**მარშანდელ რუსეთის**“ **თაობაზედ. ახალი წიგნები. კარგი ნიშნები.**

* * *

რუსულ გაზეთებში იწერებიან, სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა იქვსო მოსპოს 1879 წ. 20 მარტს გამოცემული განკარგულება, რომლის ძალითაც სასულიერო სემინარიებში კურს-შესრულებულ ყმაწვილ კაცებს არა ჰქონდათ უფლება, რომ უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტებში) შესულიყვნენ. ეს უფლება ხელ-ახლად უნდა მიანიჭონ სემინარიელებსაო.

* * *

ფოთიდამ გვწერენ:

„დროების“ მკითხველს უნდა ახსოვდეს იმერლისაგან მეგრელის ცხვირის მოკვნეტის ამბავი. ყველანი გააკვირვა ამ საქმემ. სასამართლოში რამოდენიმე სხდომა იყო, ბევრიც ეცადა მოსამართლე და სხვები, მაგრამ ვერ შეარიგეს. საითაც გაიხედავდა კაცი, სულ ცხვირზედ იყო ლაპარაკი. ის იმერელს რომ დავინახავდით, ცხვირზედ ხელს ვივლებდით, გვეშინოდა მოკვნეტისა. მაგრამ მეგრელსაც კარგი კბენა სცოდნია, როგორც გაზეთშიც ეწერა.

„დღეს იმერელი და მეგრელი რამდენიმე კაცის დასწრებით ერთს სახლში შელაპარაკდნენ; გაჯავრებული მეგრელი მივარდა იმერელს, ჯიბეს და შვიდასი მანეთი მოაკვნიტა წამლის ფულათ!.. ახლა იმერელსაც გაუხდა საჩივლელათ საქმე მეგრელზედ ბოლოს ორივემ მოსპეს ერთმანეთთან საჩივარი...

„ინაღვლოს იმერელმა, რომ მისხალი ხორცი შვიდას მანეთად დაისვა, თორემ მეგრელს ამით არა წახდენია რა, არც ცხვირით იყო ისე მშვენიერი“...

## წერილი რედაქტორთან.

საკვირველია, რომ მხეიძის ქალის ბენეფისი ზოგიერთებს ეკლათ დასობიათ გულზედ! თვალის დახამხამების უმალ ორ-ოლი სასაყვედურო სტატია გამოვიდა, როგორც რუსულათ, ისე ქართულათაც.

„კავკაზში“ დაბეჭდილ სტატიის მიზანი ცხადია. ვინ არ მიხვდება, რომ მის დამწერს გაუჯერებია გული და ჩაუტკბარუნებია გრძნობა?!. და ამისათვის მისი პასუხის გება საკადრისათ არ მიგვაჩნია.

ჩვენ პირ-და-პირ გადავალთ გ. აკაკის სტატიაზედ.

არ შევვიძლიან არ ვეთანხმოთ ავტორს: რაც უთქვამს, სრული სიმართლეა; მაგრამ ეს სიმართლე და კანონი რალა დღეს მოაგონდა მხეიძის ქალის ბენეფისის შემდეგ და აქამდი სად ბძანდებოდა? აღარ აგონდება წინა წლები, როდესაც ზოგიერთები, თუ გნებავსთ, მაგალითად საფაროვის ქალი, რომ პირველათ გამოვიდა სცენაზედ, ანუ, როგორც თვითონ ავტორი ეძახის ჯერ-ჯერობით ქართულ—სცენას, „სამალაყო და საჭიაკოკონო“ ასპარეზზედ, დიახ უფერულ, უმნიშვნელო—და უსარგებლო ვოდევილებში, თუ რა ანბე-

---

კი, შეერთებულათ კი ხოხვარიკი, ანუ „ხოხორიკი“.

აი როგორ წარმოსდგა სიტყვა ხოხორიკი და რას ნიშნავს გამოხოხორიკება, ე. ი. ძალ-და-ძალ რამეს გამოგორება.

მაგრამ მიუბრუნდეთ ჩვენ წინა სიტყვას!..

ამ დღეებში ჟურნალი „იმედი“ გამოხოხორიკდა. და მართლა, რომ ხოხორიკივით არც თავი ეტყობა და არც ბოლო! რაღაც ნამორია, გამოუკოპიტებელი, და მისი ხუროები კი იძახიან: ეს არის ჩვენის ქვეყნის ბედის-წერაო! დღემდი არც მწერლობა ყოფილა, არც მწიგნობრობა და არც ახალგაზდობაო! ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი გამთენებელიო, რადგანაც მისთანა ხელობას ვადგევართ, რომელსაც არც ნიჭი ეჭირვება და არც სწავლა-ხელოვნებაო!..

იმე! იმე! იმე! რა ხელობაა ამისთანა, რომელსაც არაფერი არ ეჭირვება? უთუოთ ლობიოს ჭამაა!.. და მართლაც, ამ მუშებს ეტყობათ, რომ ლობიოს ოსტატები უნდა იყვნენ: მაზერილან ლობიოთი, ჩაფულიათ ერთმანეთისათვის ხელი, ერთმანეთს ყურს უგდებენ და ალტაცებაში მოდიან!.. რაებს არ ანბობენ?!.

„არ გახლავართ მდიდრის შვილი,
არც თავადი, აზნაური“-ო!

ამას ისეთის დატრაბახებით იძახიან, თითქო რამე ღირსება იყოს. თურმე, მათის ჰაზრით, ვისაც ან თავადი ჰყოლია წინა-პარი და ან აზნაური, მომაკვდინებელი ცოდვა ჰქონია დღეს და მხოლოდ მღვდლის შვილობა საკვირველი რამ ყოფილა, და არ გვცოდნია! თუ მღვდლის ნაშიერია კაცი, თურმე, მეტი აღარა ეჭირვებარა და აღარც ცოდვები ცოდვათ მოეკითხება!.. დახეთ! დღემდი კი ჩვენს თვალში დიაკვნობას მაინცა-და-მაინც დიდი ფასი არა ჰქონია-რა და არც რამე გაგვიგონია მათზედ შესამჩნევი გარდა ამ ლექსისა:

„დიაკონო, კერასა,
თავი გიგავს ძერასა.
აი თვალი კი დაუდგა
მაგ შენ კითხვა-წერასა!“

თურმე რა ყოფილა, და ჩვენ დღემდი კი არა ვიცოდით-რა!.. უკაცრავათ!..

სხვებსაც ბევრს რამეს გვატყობინებენ: „ოც-და-ათის წლის ვაჟხდით და ჯერ ძალიან ნორჩი ვართ; მაგრამ ვინც კი ჩვენ სამეფოში (რატომ სარესპუბლიკოში არა?) მოვა, შევიწწყნარებთ და ვინც არა, მოვთხრითო...“ რაო? თუ ოც-და-ათის წლის ნორჩი არიან, სანამ ასის არ გახდებიან, ვერც დამწიფდებიან და მაშ კიდეც მიტომ ვერაფერი გაგვიგია იმათი ამ საუკუნეში!.. იმათი საქმე და მოედანი, თურმე იმ საუკუნის ყოფილა, რომელიც ჯერ არ მოსულა... ჰმ!

ერთგან დიდის ამბათ შედგომიან დამტკიცებას: ჯერ გზა უნდა გაკეთდეს და მერე ურემ-ფურგუნიო, თუ ჯერ ფურგუნი და მერე გზაო? და ან რომელი უფრო საჭიროაო? და ბოლოს გარდაუწყვეტიათ, რომ არც ერთი საჭირო არ არისო!..

ეს კი მეტი რისხვაა ჩვენს თავზედ! მართალია, იმათთვის არც გზაა საჭირო და არც კვალი, რადგანაც იმათ ისეც კარგათ შეუძლიათ ჰაერში ფრენა და მეცნიერების ტვირთის გადატან-გადმოტანა, მაგრამ ჩვენ კი, რომელთაც მათოდნობა არ შეგვიძლია და ჩამორჩენილები ვართ, რაღას გვერჩიან? ეს ხომ მათის მხრით უკადრისობაა, (ევოისტობა!)

ამას გარდა ბევრი რამ გამოუჩენიათ ჩვენს ქვეყანაში სიმდიდრის ნიშნებათ: ხევებში ბალახი, მთებში და ბარში ყოველ-გვარი ველური ნახირი და თაბუნები, მიწაში კიდევ სხვა-და-სხვა მადნეულები და მათ რიცხვში, როგორც მადნეული, თუჯიც. რატომ გუნდა-ლახოსტაკიც არა? ეგებ ეს „იმედიც“ მადნეული იყოს? ვინ იცის!..

მუშაობაც რომ სხვა გვარი ყოფილა ჩვენში: ლომი, ფეტვი, დიკა და სიმინდი თურმე სულ შემოდგომაზე ითესება!.. პური ჯერ ილეწება, მერე იმკება და მერე ნამგალი ილესება... მაშ!.. ერთგან ანბობენ: ნუ გვამხელთ, რომ გლეხებს რამე შემოსავალი აქვს, თორემ გარდასახადს მოუმატებენ, ხარჯს დაადებენო; მეორეგან კი იძახიან: ნათლობასა და ქორწილობაში ჩვენი გლეხობა წე-

ბი ხდებოდა?—მაშინ ყველანი იმასა სცდილობდენ, რომ წინ წაძღოლოდენ, ხელი შეეწყოთ და გამოეჩინათ მოთამაშე: აბა იმ თავითვე რა ღვაწლი, რა შრომა და რა ნამსახური მიუძღოდა იმას, რომ ქების ტაშით გვაყრუებდენ და საჩუქრებზედ აბეჭვდინებდნენ; „მიეცით ნიჭსა გზა ფართოო?!. და ჩამოდეგიო?“ იმ დღიდამ აქამომდე, აბა თუ ან ერთხელ გამოუყვანიათ სცენაზედ საფაროვის ქალი, რომ როლი არჩეული არა ჰქონოდესთ მისთვის? რათა სცდილობთ ყოველთვის მისთანა პიესების წარმოდგენას, სადაც მხოლოდ საფაროვის ერთგვარ ნიჭს („ნაივნი“ ქალების როლებში) შეუძლიან თავის გამოჩენა? რა მიზეზია, რომ იმ როლებს, რომელსაც კი საფაროვის ქალი ხეირიანათ თამაშობს, მის საკუთრებათა ხდით, თითქო მისი საცვალი იყოს, და სხვებს აღარავის აძლევთ ნებას, რომ იმ პიესებში ითამაშონ?

ამაებს სასაყვედუროთ არ მოგახსენებთ; მაგრამ ეს კი გვინდა გავიგოთ: თუ ერთისადმი ასე გულ-უხვი ბძანდებით საზოგადოთ, მეორემ რაღა დაშავა? —განა მხეიძის ქალს ნიჭი არ ეტყობა მომავლისათვის და უფრო საჭირო და ღირსეულ როლებშიაც—დრმმატიულში? თუ ერთის წახალისება საჭიროთ დაინახეთ, მეორის რაღათ გიკვირსთ?

იმ დღიდამ, როდესაც პირველათ გამოვიდა მხეიძის ქალი სცენაზედ და მიიქცია მაყურებლების ყურად-ღება, არა თუ მისთვის ყური არავის უგდია, და არ ცდილა სათეატროთ მის გაწრთვნას...

ეჰ, ყველა რომ ითქმოდეს... განა იმას ყოველთვის ეძლეოდა დრო, რომ როლების დასწავლა მოესწრო? უკრეპეტიციოთ არ გამოჰყავდათ? შესაფერი როლები ეძლეოდა? და ის პირობებიც, რომელნიც, თვით ავტორსაც მოჰყავს თავის სტატიაში, თამაშის ხელის-შემშლელ მიზეზებათ—აშორებული ჰქონდა ჯერ კიდევ სათეატრო ანა-ბანაზედ მდგომ ნორჩ მოთამაშეს?

მართალია, ესეები ყველა სცენისგარე მიზეზებია, მაგრამ ამათი შედეგი ხომ სცენაზედა სჩანს?...

„არა-რაი არის დაფარული, რომელი არა გამომცხადდესო.“ ჩვენგანც არ ყოფილა ესეები დაფარული და აი მიზეზი თუ რათ მივიღეთ ისე ბენეფისში მხეიძის ქალი... ალტაცება, და გულ-გრილობაც, დასაჩუქრებაცა და დაუსაჩუქრებაც „პროტესტი“ იყო ჩვენის მხრით.

ეა თქვენ თვითონაც უნდა გეგრძნოთ, დარადგანაც ვერ მიმხვდარხართ და ან არ მიმხვდარხართ, გთხოვთ მიიღოთ ყურადღებაში და ან მიიღონ ყურადღებაში ვისიც ვალია და შემოიღონ სცენაზედ სიმართლე და თანასწორობა, თორემ უამისოთ თეატრის წარმატება ტყუილია. იქ, სადაც გულ-წრფელობა და თან-სწორი სიმართლე არ არის, არც საქმე კეთდება.

სოფ. გ—სა.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ვიქტორ ჰიუგოს დღესასწაულის დღე მოხვდა სწორეთ ყველიერის კვირას. ამ დღეს ჩვეულებრივად მთელი პარიჟის ბალები სავსეა მასკებით და ფერად-ფერად ჩაცმულ მოსეირნეებით; მაგრამ მაშინ კი ერთ სულსაც ვერ ნახავდით იმ ბალებში:—მთელი პარიჟი გავიდა ელისეის მინდვრებზედ, ვიქტორ ჰიუგოს დაბადების დღის სადღესასწაულოდ. პროვინციებში ყველგან შეტყობილი ჰქონდათ, გამოეგზავნათ თავიანთ თავიანთი წარმომადგენელნი, რომელთაც უნდა მიეღოთ ამ დღესასწაულში მონაწილეობა. შუადღისას ტრიუმფალურ არკის გარშემო მოგროვდა ათასზე მეტი დეპუტატი ბაირაღებით და გვირგვინებით და სამას ათასამდე ხალხი. მთელ ამ შეკრებულებაში ერთი ცხენოსანი არ ყოფილა, გარდა ერთი პარიჟის ასოსამწყობების უფროსისა, რომლის ეკიპაჟსაც მიუძღოდა წინ მეორე ეკიპაჟიც ჰიუგოს ძეგლით და ერთი დიდი ვარდის კონით. ეკიპაჟზე იყო მიწერილი: „ვიკტორ ჰიუგოს პარიჟის მესტამბეების უფროსისგან. შრომა ყველგან და ყველასთვის.“ შუადღის გასულს დაჰკრეს მუსიკა. ამ მუსიკით და სხვა და სხვა სიმღერებით, ეს აჭრელებული შეკრებილება გაემგზავრა ვიქტორ ჰიუგოს სადგომისაკენ. სანამ ესენი მივიდოდნენ პოეტთან იყვნენ მისალოცავათ სენის პრეფექტი, რესპუბლიკის პრეზიდენტის ადიუტანტი, დეპუტატები პარიჟის მუნიციპალურ რჩევისა და სენის დეპარტამენტის ღენერალური რჩევისაგან ყველას მადლობა მიულძვნა ჰიუგომ. როდესაც პროცესია მიდიოდა მისი სახლის წინ, ის იდგა ფანჯარასთან თავისი ორი შვილის-შვილებით; სახლის წინ იყო გაკეთებული ამაღლებული ადგილი, რომელზედაც ხალხი აწყობდა თაიგულებს და თან ყვიროდა: „გაუმარჯოს ჰიუგოს! გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ჰიუგო დაბლათ თავს უკრავდა და მისი პატარა შვილის-შვილები კოცნას უგზავნიდნენ შეკრებილ ხალხს. ოთხის ნახევარზედ გათავდა პროცესია. უწესოება არსად მომხდ რა, იმიტომ რომ პოლიცია, არ გარეულა.

სალამოს თითქმის ყველა თეატრებში იყო წარმოდგენა ამ დიდებულ კაცის პატივ[illegible]ნად.

**ინგლისი.** [illegible] ძალიან დაამარცხეს ბოერებმა ინგლისის ჯარები. კორესპონდენტი, თუმცა ინგლისელია, მაგრამ მაინც იწერება, არ შემიძლია არ მივცე სრული სიმართლე ბოერების მხნეობას, გამარჯვების შემდეგ ისე თავის დაჭერასაო.

ლორდთა პალატაში ყანდაარზე მოლაპარაკების დროს მარკიზ სელისბიერიმ სთქვა: მე მეგონაო, რომ თურქმენები შეაჩერებდენ რუსებსაო, მაგრამ ეხლა წინაალმდეგს ვხედავო და ესეც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ამის შემდეგ სპარსეთიც გაუწევს სამსახურს რუსეთსაო. რუსეთი, რომელსაც აქამდისინ არავინ დახვდა გზაზედ და არ შეაჩერა, აწიაც არავის არ მისცემს ნებას, რომ მის მოქმედებას წინაალუდგესო. ამისათვის უნდა ვეწიოთ რასმე, რომ თვითონ ჩვენი ინტერესები დავიცვოთ. თავის რწმუნებების წინაალმდეგ წავიდა რუსეთი და დაიჭირა ადგილები კასპიის ზღვასთან და გაერია ავღანის შინაგან საქმეებშიო. ინგლისი არ უნდა დაენდოს რუსეთის სიტყვასო.“

## მწერლობა

### ვეფხის ტყაოსანი.

(შოთას სხდომა რედაქციისა, 27 თებერვალს.)

სხდომა დაიწყო, სალამოს, ცხრის ნახევარზე და გათავდა შვალამეს. მოასწრეს მხოლოდ 22 ხანას წაკითხვა,—107-დამ 129-დის.

პოემის ტექსტში, ამ სალამოს, შემდეგი ცვლილება მოხდა:

108 ხანაში სიცოცხლე გახწორდა სიახლე-თ

110 ხანაში, მეოთხე ტაეპი:

ჯერეთცა ესე არ ვიცი...

---

ლიწადში შვიდ-მილიონ-ნახევარს ხარჯავსო!.. ყაცო, ეი, მაგას ნუ ანბობთ, თორემ ხომ დავიღუპებით: ერთიც ვნახოთ, პოლიცია ნებას აღარ მისცემს ქორწილ-ნათლობისას და იმ შვიდ-მილიონ-ნახევარს წლიურ გადასახადათ გაუხდიან ჩვენ გლეხებს!.. ვა, ამას ხომ თვითონვე ამტკიცებენ?!.

სულიერ—ქართველებს გარდა, „უსულო ქართველებიც“ გამოუჩენიათ და საზოგადოთ მათ მწერლობის პერიოდს სამათ ჰყოფენ: 1) თავადების,—საძაგელი და მავნებელი, როდესაც მხოლოდ ფიქრობდენ გავაზედ (უკაცრავათ, ეს ჩემი სიტყვა არ გახლავთ, ისინი ხმარობენ;) 2) აზნაურების—უმნიშვნელო და უსარგებლო და 3) ახალი, შესანიშნავი, „საიმედო“ პერიოდი დიაკვნების!.. აბა ამიერიდგან უნდა ვიძახოთ: „ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო!“

პოეზიას ფუთობით სწონიან და ალაბობით ზომავენ: რამდენი ფუთია? რამდენს იწონის? რა ღირს, და რამდენ გადიტანსო?.. მაგრამ ამას, მგონი მიტომ ამბობენ, რომ პოეზიასა და პოვოზკაში განსხვავებას არ ჰხედვენ და ერთი და იგივე ჰგონიათ.. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ ერთი სტატია „შემთხვევის მსხვერპლნი“ შეცდომით დაუბეჭდიათ და ბოდიშს იხდიან.

ამ გვარათ, ამ ახალ-გამოჩენილ—საკვირველებაებს აღარა დარჩენიათ-რა აუხსნელი გარდა სამის საგნისა:

ა) რატომ არ ლბება წყალში ქვა?

ბ) რა მიზეზია, რომ შავ-ძროხასაც თეთრი რძე აქვს? და

გ) რატომ ამტკიცებენ ზოგიერთები, რომ კაცის მიმართულება ცხოვრებაში, თავის საქმეაო, მაშინ როდესაც კაცი ფეხებით დაიარება და მიმართულებაც ფეხებში უნდა იყოსო?

მაშინ ისინი შეიქნებიან ყოვლადსრული და ამათ მეცნიერებას აღარა დააკლდება-რა, გარდა ერთი იმერულ მდაბიო ლექსისა, რომელსაც ჩვენ მიუწერთ „იმედს“ დიპლომათ;

ხახაია, ფრახაია,
თავს აცვია კვახაია!
მოდით და გამოიცანით,
პილწია და გლახაია!

ეს არის ამითი ვათავებთ იმაზედ ლაპარაკს და გადავდივართ „ვეფხვის ტყაოსნის“ გამრჩეველ საზოგადოებაზედ...

იცით რომ ჩვენ რუსთველს ვასწორებთ?.... თქვენმა მზემ ვასწორებთ; მაგრამ „რუსულათ.... დიდი ბაასი გვქონდა ამასწინეთ ორი ასოს ა-სა და ი-სა შესახებ. ჩვენის აზრით ა-ნი არის პირ-აღმა აპლაკული ი-ნი და ი-ნი კი თავ-დაღმა დოპლაკული ა-ნი! ახლა ამაზედ გვექნება ბაასი შემდეგში, თუ სად როგორ ხმარობდა რუსთველი ამ ასოებს აპლაკულათ, და დაპლაკულათ? ამაებს ყველას გ. მეუნარგია გაცნობებსთ გაზეთით!..

მართლა რომ საზოგადოთ საქმე გაგვიჭირვა ამ „ვეფხვის“, ანუ, როგორც გავასწორეთ, „ვეფხის ტყაოსანმა“. თუ რუსულათ არ გადავთარგმნეთ, ისე გვიჭირს ჰაზრის გაგება და რუსულათ გადასათარგმნელათ კი ქართულის გაგებაა საჭირო. ცეცხლშიდა ვართ!.. ზოგიერთებმა ინატრეს, ნეტავი რუსთველი ადგებოდესო! ეს რომ კიდეც მოხერხდებოდეს, რა სარგებელი იქნება? ის, შამოვა თუ არა იმ ჩვენ კრებაში, სირცხვილით და ჯავრით ისევ ჩაწვება კუბოში და ტყვილათ რაღათ უნდა გავსარჯოთ ის პატივ-ცემული კაცი და მოვიყვანოთ საიქიოდან!

„ჰე დრონი, დრონი
„ნაქებნი ტკბარად,
„გაქრენ, წარვიდენ,
„სიზმრებრივ ჩქარად“.

—

ამ გვარი ღვაწლი
არ ღირს არც ფარად,
შრომა გავმართოთ
უფრო სხვა გვარად:

—

სჯობს მთებში ვსძებნოთ
ის ჭკუა მარად,
რომელიც დღეს ჩვენ
დავჰკარგეთ ბარად.

ბუკა.

გასწორდა:

ჯერეთც ესე არა ვიცი...

111 ხან. ველარამან გასწ. ველარავინ
116 „ კვლადია „ კვლავ დია
118 „ ვინმე „ რამე
121 „ ნახვა „ შეყრა
123 „ გარეცვილსა „ გაძრცვილსა

ამავე 123 ხანაში, მეორე ტაეპი:

... თვასისა თქმად საჭირონი

გასწორდა:

... თვასის თქმად გასაჭირონი

125 ხანაში, მეოთხე ტაეპი:

... ანუ რაცა გეკვირვების

გასწორდა:

... ანუ, რამცა გეკურნების.

127 ხან. გენუკევ გასწ. გენუკვი
128 „ საუბარსა „ ნაუბარსა
— „ თვალთა „ თვალთათ.

სხოლიოში შესატანათ შემდეგი ადგილები დაინიშნა:

111 ხან. მინეტარნეს მაგიერ მახეტარნეს
119 „ სხვამცა „ სხვაცა
121 „ არ „ ჯერ

124 ხანაში, მესამე ტაეპი:

მონამან სელნი დაუდგნა...

სხოლიოში უნდა გასწორდეს:

მონამან სელი დაუდგა...

125 ხანაში გეკურნების მაგიერ ჩაიწერება გეწადების და გეკვირვების.

126 ხანაში, მეოთხე ტაეპი:

მაგრა გითხრობ პირველ ხვალმე, სენი მე
მჭირს რაცა ჭირად

სხოლიოში იქნება ამ გვარათ:

მაგრა გითხრა პირველად მე, სენი მქმნია
რაცა ჭირად.

128 ხანაში, მეოთხე ტაეპი:

... გული შენი დაუტევია

სხოლიოში იქნება:

... გულის პირზე დაუტევია.

რომ შემდეგ არ დამავიწყდეს, აქვე მოვიხსენებ, რომ რაფ. ერისთავმა, ზ. იოსელიანმა, პ. უმიკაშვილმა ისურვეს, რომ პროტოკოლში (თუ კი აქ ნაწერს პროტოკოლი დაეძახება) შეტანილ იყო იმათი ჰაზრი მასზედ, რომ მე-118 ხანაში სიტყვა ვინმე არ უნდა გადასწორებულ იყო სიტყვათ რამე.

ამ წვრილმანი შესწორების შემდეგ რედაქციამ სხვილმანი ცვლილებაც დააპირა, მაგრამ, ნაპოლეონის ხვამალდების არ იყოს ტყუილათ უტრიალა გარშემო ზოგიერთა ხანებს—ვერ აიღო.

განიზრახეს მე-113 ხანას გამორიცხვა ტექსტიდამ, რადგანაც ა) უმეტეს ნაწილ ხელ-ნაწერებში ეს ხანა არ არის ბ) ერთს „ვეფხის-ტყაოსანში" სწერია ეს ხანა ნანუჩასიაო და გ) ბროსსეს გამოცემის წინა სიტყვაობაშიც ეს არის ცნობილი რუსთველის ნაწერათ.

მაგრამ ბოლოს, რო ჩავედით მე-118 ხანაში, ნ. ტ. დადიანმა შენიშნა, რომ ამ ხანას ხსენებულ მე-113 ხანასთან კავშირი აქვს და თუ ის ხანა გამოტოვებული იქნებოდა, მაშინ არც ეს ხანა იქნებოდა სრულათ გასაგები. სხდომამ ამაზე იარაღი დაჰყარა და სხოლიოში ჩაგდებული ხანა ისევ ტექსტში ამოიყვანა;—მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, როგორც ხელ-ნაწერებიდამ აღმოჩნდა და ჰაზრთანაც ახლო არის, წინათ დაიბეჭდება მე-114 ხანა და მერე იმას მოჰყვება მე-113.

მეტი სხვა ცვლილება არა მომხდარა. ბევრი ლაპარაკი ასტეხა: მე-110 ხანაში სიტყვა ვინმეს გამოცვლამ, რომლის მოწინაალმდეგეთა საჩივარი ზემოთ მოვიყვანე კიდეც,—ერთი მხარე ხედავდა „ვინმე ეშმაკის სიცუდეს და სიბილწეს", მეორე მხარე კი „რამე ეშმაკეულ სიცუდეს და სიბილწეს". იმდენივე მუსაიფი დაიხარჯა ამ ტაეპის ტექსტის აღდგენაში:

ვიცი რომე გაუწყვეტლად თვალთა
ღაწვი გისეტყვის.

თვალთა ღაწვი, უნდოდა თუ თვალთათ ღაწვი, თუ თვალთა ცრემლი? ყველა ამ ვარიანტებს ყავდა უკანასკნელ თორმეტ-თორმეტი საკუთარი მოციქულები და ყველა თორმეტი თავისებურათ ქადაგებდა.

ამ ქადაგებამ ისე გაართო რედაქცია, რომ თუ არ შვალამე სხდომა კიდევ გაგრძელდებოდა. საზოგადოდ ამ სალამოთი ყველა ძლიერ კმაყოფილი დარჩა. რედაქცია ყოველს ტაეპზე ჰპოულობდა ფრიად საინტერესო გრამმატიკულ და ფილოლოგიურ კითხვებს.

რაღაც ბედია, ჯერ-ჯერობით ჩვენი ლიტერატურის მოყვარენი გულ მხურვალეთ ეკიდებიან ამ საქმეს. უჩვეულო სტუმართაგან ამ სალამოს გვეწვივნენ თავ. ვახტ. ორბელიანი და დავ. ერისთავი.

შემდეგი სხდომა იქნება საშაბათს, 3 მარტს, სალამოს შვიდ საათზე, თბილისის სადგილ-მამულო ბანკში.

ი. მეუნარგია.

# განცხადებანი

—

### ბევრი კრაოტები

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ჩიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—2)

### ტოლლეს მაღაზიაში

25 თებერვლიდამ 10 მარტამდე იქნება **გასყიდვა** ყოველ გვარის საქონლისა იაფ ფასებით. (5—2)

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად**—წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—19)

### თესლები

ბოსტნეულობისა და ყვავილებისა

მიღებულია თესლების დეპოში ქავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, გოლოვინის პროსპექზე, № 11, **ლარშეს** მაღაზიაში.

აქვე იშოვება კატალოღები თესლებისა. (10—2)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხუჩქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავახას სიგარები. (100—32)

**უველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკაზიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია**, არწრუნის გალლერეაში: დიდს სახსავად.

**ისყიდება** საზამთრო მოსასხურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფადნოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 20—12

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ. მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და საუკეთესო 2 მ. 30 კ. ტურქული მოთვლით; თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—31

### ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ჩიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—42)

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

გადარჩეთ ნვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—99)

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—15)

# თფილისის ქალაქ. გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ 10 მარტს ამა წლისას, დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი ნავთლუღის დაჩის არენდით გაცემაზედ, რომელიც გამოსადეგია საბალახოთ, და შეიცავს 194 დესიატინას და ას ოთხ-კუთხს საჟენს, ვადით 1 აპრილიდამ ამავე წლისა 1884 წლის 1 იანვრამდის.

დაწვრილებული პირობები ამ საგნის შესახებ მსურველთ შეუძლიათ შეიტყონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10-2 საათამდი, გარდა კვირა და უქმი დღეებისა. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 28 февраля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ივ. ჯაჯანაშვილი და ს. მესხი.